პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის ქ-ის და ცაკის ორგანო

№ 261 (5062) | სამშაბათი, 16 ნოემბერი 1937 წ. | ფასი 10 კაპ.

პარტიის ყველა რაიკომისთვის ამჟამად არ არის იმაზე უფრო მნიშვნელოვანი, იმაზე უფრო საპასუხისმგებლო ამოცანა, ვიდრე საარჩევნო უბნებში საგაგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობის მოწყობის ამოცანა.

ბიბლიოთეკა „პრავდა“

უფრო ფართოდ გავშალოთ ბოლშევიკური აგიტაცია და პროპაგანდა სოფლად

სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადება მიმდინარეობს იმ დროს, როცა საბჭოთა სოფელში ხდება შემოსავლის განაწილება კოლმეურნეობებში. ახლადდელი სასოფლო-სამეურნეო წლის შედეგები შესანიშნავია. ისინი კიდევ ერთხელ ადასტურებენ მთელს მსოფლიოს, თუ რა ბერი რამ მისცა საბჭოთა ხელისუფლებამ გლეხობას. ამა წლის მარცვლეული და ტექნიკური კულტურების საუკეთესო მოსავალმა კოლმეურნეობებსა და ჭ მეურნეებს დიდი შემოსავალი მოუტანა. ჩვენი თავდაუზოგავი შრომა ქვეყნის ყველა კუთხეში მოდის ცნობები შრომადღის მაღალი ღირებულების შესახებ. თვითეული გლეხი და გლეხი-ქალი პირადი გამოცდილებით სულ უფრო და უფრო ხედავს რწმუნდება, თუ რა უდიდესი უპირატესობანი აქვს საკოლმეურნეო წყობილებას, რომელსაც შეძლებული, კულტურული ცხოვრება მოაქვს თვითეულისათვის, ვინც კოლმეურნეობაში პატიოსნად მუშაობს, ვინც საკოლმეურნეო საქმისათვის იბრძვის.

მიმდინარე წლის წინასწარი ცნობები გვიჩვენებენ, რომ მიწათმოქმედება სსრ კავშირში უკვე ახლა ერთიორად მეტ პროდუქციას იძლევა, ვიდრე ომის წინა დროში იძლეოდა. წელს მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქციის ღირებულება 1926-27 წლის უკვლულ ფასებში შეადგენს 23 მილიარდ მანეთს, მაშინ როცა 1913 წელს ამ პროდუქციის ღირებულება ამავე ფასებში უდრიდა 12,6 მილიარდ მანეთს. ის გარემოება კი, რომ მილიც ჩვენმა მიწათმოქმედებამ კოლექტივიზაციის წლების განმავლობაში მოიახლინა, ამჟამად თავის რიგით გამოხატულებას ჰპოულობს კოლმეურნეობათა სასაქონლო პროდუქციის ზრდაში და შრომადღის მაღალ ღირებულებაში. ცოტა რიცხვი ისეთი რაიონები, სადაც წელს **საშუალოდ რაიონში** შრომადღეზე მარტო მარცვლეულს 7—10 კილოგრამს აძლევენ.

მოლდავეთის რესპუბლიკის რიბნიცკის რაიონში კოლმეურნეობებმა უზარმაზარ ფართობზე—30.000 ჰექტარზე თითო ჰექტრიდან აღებულ 100 ფუთი პურიული. ამ რაიონში შრომადღეზე კოლმეურნეებს საშუალოდ ეძლეოდათ 7,5 კილოგრამი პურეული, რომ არ ჩავთვალოთ სხვა პროდუქტები და ფული. მეზობელ კამენსკის რაიონში საშუალო შრომადღეს უწევს 6 კილოგრამი პურეული და 1 მან. და 50 კაპ. ფულად.

ასეთი მაგალითების მოყვანა ბლომად შეიძლება. ცალკეულ კოლმეურნეობათა შემოსავალი კიდევ უფრო განსაცვიფრებელია. ამ ცოტახნის წინათ როსტოვის ოლქის ეგორლიკის სტანიცის სასოფლო სამეურნეო არტელ „ოქტომბრის 12 წლისთავის“ კოლმეურნე ყაზახებმა წერილით მიმართეს ამხანაგ სტალინს. ამ წერილში ისინი სწერდნენ:

„ბარაქიანი გახდა ჩვენი შრომადღე. 1935 წელს ჩვენ შრომადღეზე მივიღეთ 1,8 კილოგრამი პურეული, წელს კი, სახელმწიფოს წინაშე ყველა ვალდებულების დროულად შესრულების შემდეგ, სათესლე, საფუვრად და სადაზღვევო ფონდების გამოყოფის შემდეგ, ჩვენ შრომადღეების მიხედვით გასაბარგებლად დავგრჩა 32 კილოგრამი მარცვალი თითო შრომადღეზე, მზესუმზირას ჩაუთვლელად... საკოლმეურნეო დოვლათიანობა ჩვენში წლითიწლობით იზრდება. ყაზახის ცხოვრება მდიდარი და ბედნიერი გახდა“.

მილიონობით ღარიბი და საშუალო გლეხები, რომელნიც პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების მოწოდებით შეიდნენ კოლმეურნეობებში, ახლა გახდნენ უზომოდ ეულფილ ადამიანებად, რომელნიც თავ მამად შეჰყურებენ ხალხილდელ დღეს, რომელნიც ცხოვრობენ სოციალისტური საზოგადოების შენებულ მშენებლობის სასხლპარში ცხოვრებით.

ჩვენს ქვეყანაში სამუდამოდ მოულო ბოლო სიღარიბეს და სიღატაკეს. ჩვენს სოფლებში აღარ არის მშიერი ღარიბი გლეხობა, რომელიც ძველ რუსეთში ოც მილიონ კაცზე მეტი იყო. ლიკვიდირებულია სიღატაკე. ჩვენს ქვეყანაში აღარ არიან უცხენო, უინვენტარო, უნათელო მეურნეობანი! საკოლმეურნეო წყობილებამ გლეხს ნათელი და სასიხარული ცხოვრება მოუტანა. და ეს— საუკეთესო ილუსტრაცია ლენინ-სტალინის პარტიის სასარგებლოდ. საბჭოთა ხელისუფლების სასარგებლოდ, მოწინავე ადამიანთა სასარგებლოდ, რომელთაც ჩვენი ქვეყანა ასახელებს სსრ კავშირის უზენაეს საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად.

ნოვოსიბირსკის ოლქის ლენინის რაიონის კოლმეურნეობა „9 იანვარი“ ამ ცოტახნის წინათ კოლმეურნეები ანგარიშობდნენ თავის შემოსავალს, ერთმანეთს დაარებდნენ წინანდელ და ახლანდელ ცხოვრებას.

— მთელს ჩვენს სიცოცხლეში არასოდეს გვქონია ამდენი პური,— ამბობდნენ კოლმეურნეები. — გრიგოლ სემაკინი, რომელიც წინათ მუდამ გაჭირვებაში იყო, თავის 600 შრომადღეში. ახლა იღებს 668 ფუთ პურს. ყოფილმა ღარიბმა იაკობ პავლის-ძე რებიკოვმა თავის შეილთან ერთად გამოიმუშავა 750-ზე მეტი ფუთი პური.

ფართოდ მიაბიჯებს საკოლმეურნეო სოფელი შეძლებული ცხოვრებისაკენ.

— აი რატომ არის, რომ ჩვენს საზღვრებზე აღებულია სიხარული,—სწერენ ეგორლიკელი კოლმეურნეები.— აი სად არის წყარო ჩვენი უსაზღვრო ერთგულებისა და სიყვარულისა ბოლშევიკების პარტიისადმი, ჩვენი სამშობლოსადმი, აი რატომ არ სცხრება ჩვენს სტანიცებსა და ხუტორებში ხალისიანი სიმღერები და ჭყრიალა სიმღერები.

უმაგალითო ღონისძიებათა მიმდინარეობის ახლა საარჩევნო კამპანიაა სოფლად. ეს სჩანდა წინასაარჩევნო კრებებზე, საოლქო თათბირებზე. ეს სჩანს ამჟამად მიმდინარე რაიონულ წინასაარჩევნო თათბირებზედაც. სამეურნეო წლის შედეგებმა საბჭოთა გლეხობის წინაშე დიდებული პერსპექტივები გადაშალეს, რამაც გამოიწვია კოლმეურნე მასების პოლიტიკური აქტივობის გიგანტური ტალღა. კოლმეურნეებსა და კოლმეურნე-ქალებს მშვენივრად ესმით, რომ ახალ, ბედნიერ ცხოვრებას, ისინი საკოლმეურნეო წყობილებას უნდა უმადლოდნენ. სოფლის ახლებურად გაგება სოციალიზმის ეპოქაში, ვინც სწორი გზა გვიჩვენა, ვისაც მრავალმილიონიანი გლეხობა დღეგანდელი სასიხარულო დღისაკენ მოჰყავდა,—სოფლის ახლები და ფიქრები მიპყრობილია ამხანაგ სტალინისაკენ. ამ სახელს, რომელიც გახდა სოციალიზმის ბანერიც, მარკვევებათა სიმბოლოც, საბჭოთა ხალხის მორალური და პოლიტიკური ერთიანობის სიმბოლოც, საკოლმეურნეო სოფელი პირველს ახსენებს სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა შორის.

კოლმეურნეებმა და კოლმეურნე-ქალებმა სსრ კავშირის უზენაეს საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად დაასახელეს ამხანაგ სტალინის უახლოესი თანამებრძოლნი — პარტიის და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელები, მეცნიერების, ხელოვნების მუშაკები.

კოლექტივიზაციის წლების მანძილზე საკოლმეურნეო სოფელში ცოტანი როდი გაეზარდნენ ისეთი ადამიანები, რომლებმაც მთელი თავისი მუშაობით დაამტკიცეს ერთგულება ხალხის საქმისადმი, სოციალიზმის საქმისადმი, რომლებმაც ისწავლეს სახელმწიფო მუშაობის წარმოება. ამ ადამიანებსაც—კოლმეურნე გეწრობის ვაჟებსა და ქალიშვილებს—სასახელოს ადარეთვე საბჭოთა სოფელი უზენაეს საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად, ისეთ ადამიანებს, როგორიც არიან სახელგანთქმული კომბაინერი ოსენი, კოლმეურნეობის თავმჯდომარე თევდორე გრინკო, მესენე ევგენია არტაშევა, მეცხენე იგმბერიდი შაიმადანოვი, ტრაქტორისტი გუსევი, ბრიგადირი უტეპბერგენოვი და მრავალი სხვა.

საკოლმეურნეო სოფელი უღიდეს ინტერესს იჩენს უზენაესი საბჭოს მომავალი არჩევნებისადმი. კოლმეურნეები და კოლმეურნე-ქალები, ერთპირონელი მეურნეები—ქალები და კაცები გატაცებით ისმენენ საარჩევნო კანონის ახსნა-განმარტების თვითეულ სიტყვას. მაგრამ ჯერ კიდევ ყველგან როდია მოგვარებული ნამდვილად ბოლშევიკური, თვითეული გლეხისათვის მისაწვდომი აგიტაცია და პროპაგანდა, რომელიც სწორად და გასაგებად უნდა უპასუხებდეს მსმენელთა ყოველგვარ კითხვებზე. ზოგიერთი რაიკომი ღღემდე სრულიად უმნიშვნელო ყურადღებას უთმობს საagიტაციო და პროპაგანდისტულ მუშაობას საარჩევნო უბნებზე სოფლად. ეს უწინარეს ყოველისა ეხება კიევის, ვოროშილოვგრადის, ორჯონიკიძის, სტალინის ოლქების რაიონულ პარტიულ ორგანიზაციებს. განსაკუთრებით სუსტია საagიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობა ერთპიროვნულ მეურნეთა შორის, რომელნიც ამომრჩეველთა მნიშვნელოვან რაზმს შეადგენენ.

ახლა ყველგან დამთავრებულია უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად დასახელებულთა რეგისტრაცია. აქა-იქ პატრიოტულმა ორganიზაციებმა ეს ისე გაიგეს, რომ ძირითადი მუშაობა უკვე თითქოს უკან იყოს მოტოვებული, რომ თითქოს შეიძლებოდეს მასებში საარჩევნო აგიტაციისა და პროპაგანდის შეწყვეტა. ამგვარ მსჯელობაზე უფრო სახიანი არაფერია. არჩევნების ღღემდე დარჩენილ დროში საagიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობა ბევრად უნდა გაძლიერდეს, არ უნდა დავივიწყოთ, რომ ზოგიერთი პარტიული და საბჭოთა ორganიზაციის უდარდელობით და დოყლაპიობით სარგებლობენ მტრული ელემენტები, რომელიც ცდილობენ და ცდილობენ შეიცდებიან ყოველნაირად წაგვიბღალონ საქმე საარჩევნო კამპანიაში.

სასოფლო - სამეურნეო წლის ბრწყინვალე შედეგებმა შეჰქმნეს სოფლად განსაკუთრებით ხელსაყრელი ნიადაგი დიდი პოლიტიკური მასობრივი მუშაობისათვის. იგი მაქსიმალურად ფართოდ უნდა გაიშალოს. ამ მუშაობის ძირითადი ღერძი, მისი კეთილშობილი მიზანი—ეს არის ლენინ-სტალინის დიადი პარტიის დროშით წარეულძღვეთ მრავალმილიონიან კოლმეურნე გლეხობა უზენაესის საბჭოს არჩევნებისკენ.

„პრავდის“ მოწერიანე, 15/XI

ჩვენს ხმებს მივცემთ ამხანაგ ლ. პ. ბერიას

დიდი კმაყოფილებისა და სიხარულის გრძნობით შეხვდნენ თბილისის—სტალინის საარჩევნო ოლქის საწარმოთა მუშები, ინჟინერ-ტექნიკოსები და მოსამსახურეები იმ ცნობას, რომ ამხანაგი ლ. პ. ბერია თანახმაა კენჭი იყაროს მათს ოლქში კაეშირის საბჭოს დეპუტატობაზე.

მიტინგები შესდგა სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონ-სარემონტო ქარხანაში, თბილისის დეპოში, ავტომსარემონტო ქარხანაში, 26 კომუნარის სახელობის ქარხანაში, ფეხსაცმლის ახალ ფაბრიკაში და ოლქის სხვა საწარმოებში. მიტინგებმა ცხადჰყვეს ამომრჩეველთა უსაზღვრო თავდადება ლენინ-სტალინის პარტიისა და ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინისადმი.

თავიანთ გამოსვლებში მუშები, ინჟინრები, მოსამსახურეები და სტოლონტები აღნიშნავდნენ დიდს წარმატებებს, რომლებიც მიღწეულია საბჭოთა საქართველოს მიერ სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგში საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით.

— ლ. პ. ბერიას თანხმობის ამბავსუხოდ, რომ ჩვენი იყოროს ჩვენს საარჩევნო ოლქში,—სთქვა თბილისის დეპოს მიტინგზე მემანქანე უფიანმა,—ჩვენ ვკმაყოფილდით ვალდებულებას ვატაროთ უკვარიათ 650 ტონიანი მძიმე წონის შემადგენლობანი და სოციალისტურ შეჯიბრებაში ვიწვეთ სხვა მემანქანეებს.

— სიხარულით მივეცემთ ჩვენს ხმებს ამხანაგ ბერიას კანდიდატურას,—განაცხადა 26-ის სახელობის ქარხნის მექანიკურ-შემკრები სამქროს უფროსმა ამხ. ჰოხონლაიძემ,—და პირობას ვიძლევით ვიყოთ მასავით ულმობელი ხალხის მტრების მიმართ, ავიმაღლოთ ბოლშევიკური შეტევითი სიფხიზლე.

ცნობას იმის შესახებ, რომ ამხანაგი ლ. ბერია კენჭს იყრის კავშირის საბჭოს დეპუტატობაზე თბილისის—სტალინის საარჩევნო ოლქში, დიდი კმაყოფილებით შეხვდა სახელმწიფო ინდუსტრიული ინსტიტუტის კოლექტივი, რომელმაც დაასახელა ამხანაგ ბერიას კანდიდატურა.

მიტინგზე გამოსული პროფესორები მეხაძე და კაკაბაძე, დოცენტები ლაშქარაძე და კობერაძე, სტუდენტები ტუღუში, ლომთათიძე და ქურდაშვილი ლაპარაკობენ მეცნიერების აყვავებაზე, სამეცნიერო დაწესებულებათა შესილა, უმაღლეს სასწავლებელთა არნახულ ზრდაზე საბჭოთა საქართველოში. ეს შესაძლებელი გახდა მხოლოდ ლენინ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის სწორი გატარების გამო.

— ისტორიულ დღეს—12 დეკემბერს მშრომელი ინტელიგენცია—თბილისის—სტალინის ოლქის ამომრჩევლები — თავიანთ ხმებს მისცემენ ამხანაგ ლ. ბერიას.

სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის მიტინგზე მოშა სტახანოველებმა ბურკულაძემ, ლისენკომ და სხვებმა მოიგონეს საქართველოს სამოცდაათი წლის ბოლშევიკის, ლენინ - სტალინის პარტიის ერთგული შვილის ამხანაგ ნიკოლოზ ალექსანდრესძე ბუღაძის ნინის კანდიდატურას.

თათბირის მონაწილენი გულთბილად შეხვდნენ ვლადიმერ ლეონტიევიჩ კომაროვს, რომელიც სიტყვით გამოვიდა.

თათბირებმა მიიღო მომართვა ამომრჩევლებისადმი, რომელშიც მოუწოდებს მათ ხმა მისცენ სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს დეპუტატად წამოყენებულ კანდიდატებს ამხანაგ ვ. ლ. კომაროვს და ნ. ა. ბულგანინს.

მჭიხარე ტაშით მიღებულ იქნა მისალმება ხალხთა ბელადის ამხანაგ სტალინისადმი.

გაიხსნა ესპანეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

ბარსელონა, 14 ნოემბერი (საქ. დეპ.). დიდი ალტყინებით მიმდინარეობს ესპანეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გენერალური მდგომარეობის ხოზე დიასი, როშელსაც მჭეხარე ოვაციებით შეხდნენ. დიასი უშინარეს ყოველისა შეჩერდა ესპანეთის შინაპოლიტიკურ მდგომარეობაზე და აღნიშნა, რომ ეს მდგომარეობა ნეგრინის მთავრობის საშინაობის წყალობით გაუმჯობესდა. მიუხედავად იმ მძიმე მეცდინეობისა, რომელიც ლარგო კაბალეროს მთავრობამ დაგვიტოვა, ახალმა მთავრობამ მიაღწია მნიშვნელოვან წარმატებებს, გამოიყენა ის ენერგიის დაუხრეტელი წყაროები, არსებული თვით ხალხის წიაღში. დასძინა შენდეგ აღნიშნა მნიშვნელოვანი ზრდა ესპანეთის სახალხო არმიისა, რომელიც განმტკიცდა და რომელმაც აღზარდა მეთაურთა შესანიშნავი შემადგენლობა. სახალხო არმიაში ნამდვილი რევოლუციური შენგნება ცოცხლობს.

ყურადღება აღნიშნა, რომ ესპანეთის რესპუბლიკა,—ამბობს ხოზე დიასი,—სარგებლობს საეთაშორისო პროლეტარიატის და პირველ რიგში საბჭოთა კავშირის ხალხთა ძნარდაჭერით. ამ სიტყვების წარმოთქმასას დარბაზი მჭეხარე ოვაციას მკრთავს საბჭოთა კავშირსა და ხალხთა საყვარელი ბელადს ამხანაგ სტალინს პატივსაცემად.

დიასმა შემდეგ აღნიშნა, რომ საერთაშორისო პროლეტარიატის დახმარება კიდევ უფრო მეტი შეიძლებოდ ყოფილიყო, საერთაშორისო მუშათა მორიობაში რომ ნამდვილი ერთიანობა არსებობდეს და სოციალ-დემოკრატის ზოგიერთი ბელადს რომ ნამდვილად ჰქონდეს შეგნებული ერთიანობის მნიშვნელობა ესპანეთისათვის დახმარების გაწევის საქმეში. ამის. დიასის აზრით, არსებობის ბაზა, რომელზეც შეუძლიათ გაერთიანება მეორე და მესამე ინტერნაციონალის ძალებს.

ყურადღებოდა რა, ერთი მხრით, ტროცკისტების და, მეორე მხრით, ანარქისტების, — განაგრძობს დიასი, —ლარგო კაბალეროო მოწადინებული იყო გაეთმო შანაობის ფრონტი.

აღნიშნა რა, რომ უდიდესი მასიბრაებენ პოლიტიკურ ცხოვრებაში, დიასმა შემოიტანა წინადადება მოხდეს პლენისტიკი, რათა დაფიქსიცდეს მოსფლოს, რომ ესპანეთის ხალხის მასები მთლიანად დგანან საბჭოთა ფრონტის მხარეზე. პლენისტიკი თავის მხრივ ეხება ესპანეთის ერთიანობის განმტკიცებას.

ჩამოსვლია რა შემდგომი ამოცანები, რომლებიც ესპანეთის წინაშე დგანან, დიასმა მოუწოდა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლისაკენ ხალხის მტრებთან, რომელთაგან მთავარი მტერები არიან ტროცკისტი პროვოკატორები — ფრანკოს აგენტები თუმცა მთავრობამ მიიღო ზოგიერთი ზომა,—აღნიშნა დიასმა,—მაგრამ იგი დღემდე არასაკმაოდ ენერგიულად მოქმედებდა, განსაკუთრებით შინაგან საქმეთა მინისტრი და იუსტიციის მინისტრი.

ამით პლენუმის პირველი სხდომა დამთავრდა.

20-ათასიანი მიტინგი ნიუ-იორკში ოქტომბრის XX წლისთავის აღსანიშნავად

ნიუ-იორკი, 14 ნოემბერი (საქ. დეპ.). 20 ათასზე მეტი კაცი დაესწრო მიტინგს, რომელიც მოაწყო ამერიკის კომუნისტურმა პარტიამ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XX წლისთავის აღსანიშნავად. ნიუ-იორკის ყველაზე დიდმა დარბაზმა „მედისონ-სკვერ-გარდენმა“ ვერ დაიტია ყველა მსურველი. მიტინგზე დამწერები და ენთუზიაზმით შეხვდნენ წინადადებას, რომ გაეგზავნოს მილოცვის დეპეშა ამხანაგ სტალინს და საბჭოთა ხალხს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 20 წლისთავისა და ამ მიღწევების გამო, ამერიკელ საბჭოთა კავშირის მოიპოვა. სიტყვებით გამოვიდნენ ამერიკის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარე ფოსტერი, ამერიკის კომპარტიის ერთერთი ხელმძღვანელი ფორდი და კომპარტიის ნიუ-იორკის რაიონული ორganიზაციის თავმჯდომარე კრუმბეინი. მიტინგის შემდეგ მოეწყო მასობრივი საკარნავალო სეირნობა, რომელზეც 150 არტისტმა მხატვრული ფორმით ასახა საბჭოთა კავშირის მიღწევები 20 წლის განმავლობაში.

უცხოეთის მუშათა დელეგაციების შეხვედრა სსრკ პროფკავშირთა ხელმძღვანელებთან

მოსკოვი, 15 ნოემბერი (საქდესი). 14 ნოემბერს შრომის სასახლეში მოხდა უცხოეთის იმ მუშათა დელეგაციების შეხვედრა საბჭოთა პროფკავშირების ხელმძღვანელებთან, რომლებიც სსრ კავშირში ჩამოვიდნენ ოქტომბრის დღესასწაულებზე.

უცხოეთის დელეგატთა უდიდესმა ინტერესმა სსრ კავშირის შრომელთა ცხოვრებისა და ჩვენი პროფკავშირების მუშაობისადმი თავისი გამოხატულება ჰპოვა მრავალრიცხოვან კითხვებში, რომლებიც სრულიად-საკავშირო პროფესიული კავშირთა ცენტრალურ საბჭოს მდივნებს ამხ. შვერნიკს მისცეს.

უპასუხა რა უცხოელ დელეგატთა მიერ მიცემულ კითხვებზე, ამხ. შვერნიკმა დაწვრილებით გააშუქა სსრ კავშირში პროფესიული კავშირთა საქმიანობის ხასიათი.

უდიდესი ინტერესით მოისმინა ყველა დამსწრემ ესპანეთის საყოველთაო მუშათა კავშირის თავმჯდომარის რამონ გონზალეს პენას და უცხოეთის მუშათა დელეგაციების სხვა წარმომადგენელთა გამოსვლები. ყველა გამოსულმა მხურვალე მადლობა გადაუხადა საბჭოთა პროფკავშირების ხელმძღვანელებს გულთბილი ძმური მილებისათვის; ათას ოფიციანებით აღნიშნეს სოციალისტური შენებლობის ფიქრიანი წარმატებანი.

თავისუფლება ჭელმანს!

პარიზი, 14 ნოემბერი (საქდესი). გუშინ გაიხსნა ევროპის კონფერენცია, რომელიც მოწყობილია ტელმანის გასთავისუფლებისათვის, გერმანიაში უფლებისა და თავისუფლების დაცვისათვის მებრძოლი კომიტეტის მიერ.

დიდ სიტყვაში მარსელ კაშენმა გამაცხადა, რომ გერმანიაში ფაშისტები იმონებენ ხალხს, რომელსაც ართმეულა ეროვნული უფლებებისა და თავისუფლებას. სახელოვანი გერმანიის ფაშისტები აწყობენ ტერორისტულ აქტებსა და თავდასხმებს. ისინი ამზადებენ ახალ მსოფლიო ხოცვა-ჟლეტას და ფაქტიურად უკვე ეომებიან რესპუბლიკურ ესპანეთს.

ცნობილმა ფრანგმა ვეჭრმა მორის-ჟრაფიერმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ტელმანის საქმესა და აღნიშნა, რომ ტელმანის პროცესი დღემდეც არ შემდგარაო. ისინი, ვინც ტელმანს გასამართლებას აშზადებდნენ, ახლა ეეღარ ბედავენ ამ გასამართლებას,—განაცხადა მორის-ჟრაფიერმ. უკეე თითქმის ხუთი წელია, რაც ტელმანი საპატიმროში ჰყავთ გაუსამართლებელად, ვინაიდან ფაშისტებს ეშინიათ, რომ ბრალდებულთა სკამზე წამოდგება არა ბრალდებული, არამედ ბრალმდებელი, როგორც ეს დეიმიტროვმა მოიმოქმედა.

სახ. კ. პ. (ბ) წულუკიძის რაიკომის პლენუმი

ამ დღეებში შესდგა სახ. კ. პ. (ბ) წულუკიძის რაიკომის პლენუმი.

პლენუმმა მოისმინა ინფორმაცია სახ. კ. პ. (ბ) წულუკიძის რაიკომის პირველი მდივნის მოვალეობის ყოფ. შემსრულებლის ლეჟავას კონტრრევოლუციური მუშაობის შესახებ.

კამათში გამოსული პლენუმის წევრები აღნიშნავდნენ, რომ ლეჟავა რაიონში ჩამოსვლის დღიდანვე ეწეოდა კონტრრევოლუციურ მავნებლურ მუშაობას, განზრახ აფერხებდა ზუნეაესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადებას. სახიზოარმა ლეჟავამ საგებით ჩაშალა პარტმასობრივი და პოლიტ-აღმზრდელობითი მუშაობა.

ლეჟავა სახიზოარ ჯაიანს და სხვა არამზადებს აძლევდა დავალებებს მოეწყოთ ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლა.

კამათში გამოსული პლენუმის წევრები აღნიშნავდნენ, რომ ლეჟავა რაიონში ჩამოსვლის დღიდანვე ეწეოდა კონტრრევოლუციურ მავნებლურ მუშაობას, განზრახ აფერხებდა ზუნეაესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადებას. სახიზოარმა ლეჟავამ საგებით ჩაშალა პარტმასობრივი და პოლიტ-აღმზრდელობითი მუშაობა.

ლეჟავა სახიზოარ ჯაიანს და სხვა არამზადებს აძლევდა დავალებებს მოეწყოთ ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლა.

კამათში გამოსული პლენუმის წევრები აღნიშნავდნენ, რომ ლეჟავა რაიონში ჩამოსვლის დღიდანვე ეწეოდა კონტრრევოლუციურ მავნებლურ მუშაობას, განზრახ აფერხებდა ზუნეაესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადებას. სახიზოარმა ლეჟავამ საგებით ჩაშალა პარტმასობრივი და პოლიტ-აღმზრდელობითი მუშაობა.

ჩვენს ხმებს მივცემთ ამხანაგ ვ. პ. ბერიას

ბარაქოვი, 11 ნოემბერი (საქდესი). გუშინ შესდგა ხარკოვის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომა.

კომისიამ ერთხმოვნად მიიღო შემდეგი დადგენილება:

— კომისიის განკარგულებაში მოიპოვება ოქმები მოხსენებითი მოსმენებისა, კოლმეურნეთა, პროფკავშირულ, კომკონსომოლურ და სახოგადოებრივ ორganიზაციათა 138 საერთო კრებისა, რომელნიც კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ასახელებენ ვლას იაკობის-ძე ჩუბარს.

თანახმად „სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულების“ მე-61 მუხლისა და სტალინური კონსტიტუციის მე-141 მუხლისა, კომისიის განკარგულებაში მოიპოვება ყველა საჭირო დოკუმენტი და ამის. ჩუბარის წერილობითი თანხმობა, გამოქვეყნებული პრესაში და წერილში.

არსებული დოკუმენტების საფუძველზე ხარკოვის სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტის კომკონსომოლის ორგანიზაციის კომიტეტის მდივანი ბორისოვი, ხარკოვის ავიაციის ქიმიური ინსტიტუტის პარტიული ორგანიზაციის მდივანი ბოგომოლოვი, ხარკოვის ელექტრომექანიკური ინსტიტუტის პარტიული ორგანიზაციის მდივანი ბელ

სსრ კავშირის უზენაეს საბჭოში გავეზავნოთ ლენინ-სტალინის დიადი საქმისათვის თავდადებული მებრძოლნი, ჩვენი ქვეყნის საუკეთესო შვილები

ვალერიან მინას-ძე ბაქრაძე

ამხანაგ ვ. მ. ბაქრაძის მამა,—მინა სტეპანის-ძე ბაქრაძე მუშაობდა მნგრეველად ჭიათურის მარგანეცის მაღაროებში, სადაც გამეფებული იყო ადამიანის შრომის სასტიკი ექსპლოატაცია. დედა მუშაობდა შინ—ღარიბ გლეხურ მეურნეობაში, ყოფილი რაჭის მაზრის სოფელ სიღაში.

შვილი ვალერიანი რვა წლისა იყო, როცა იგი 1909 წელს პირველად შევიდა სოფლის სასწავლებელში. მაგრამ რის მიცემა შეეძლო მაშინდელ სკოლას ბავშვებისათვის, რომელნიც ხარბად მისწრაფოდნენ ცოდნისაკენ, მეცნიერებისაკენ? ვალერიან მინას-ძე ბაქრაძე სამ წელს სწავლობდა ამ სკოლაში და ამით შესწყდა მისი „უფლება“ განათლებაზე ცარიზმის დროს.

მკაცრმა გაჭირვებამ აიძულა იგი 11 წლის ყმაწვილი წასულიყო სამუშაოს საძებნელად.

ასეთი იყო პროლეტარების ბავშვთა ხვედრი.

მამას ძლივს შეეძლო თავის რჩენა და შვილს მოუხდა ბავშვობიდანვე გაეკეთა თავისთვის გზა დამოუკიდებელი ცხოვრებისაკენ.

1912 წელს ვ. მ. ბაქრაძე მიიღო სამუშაოდ ქალ. თბილისში და აქ მუშაობს 1921 წლამდე დურგლად.

მაგრამ ერთბაშად როდი მოახერხა მან, ოჯახსა და დახმარებას მოწყვეტილმა, დამდგარიყო საკუთარ ფეხზე. მხოლოდ მტკიცე ნებყოფამ, რაც თანდაყოლილი ჰქონდა მას ახალგაზრდა ბუნებას, შეუპოვრობამ სიძნელეთა გადალახვაში მისცა მას შესაძლებლობა—დაეცვა თავისი უფლებები მცირე ხელფასის მიღებაზე. ამრიგად, კაპიტალისტ კერარის სახელოსნოში სამუშაოზე წყება მისი პროლეტარული ფსიქოლოგიის ჩამოყალიბება და მუშათა კლასის საქმისათვის მებრძოლის ხასიათის გამოქედება.

1921 წლის თებერვალში, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, ვ. მ. ბაქრაძე შედის წითელი არმიის რიგებში. იგი აქტიურ მონაწილეობას ღებულობს მენშევიკური ბანდების წინააღმდეგ ბრძოლებში კახეთსა და ხევსურეთში.

იმავე წელს ვ. მ. ბაქრაძე შედის ბოლშევიკურ პარტიაში. უდიდესი სიამაყის გრძნობით ღებულობს ი. პარტიულ ბილეთს XI არმიის ცალკე ცხენოსნი ბრიგადის პოლიტგანყოფილების პარტიულ ორგანიზაციაში.

დემობილიზაციის შემდეგ, 1923 წლის თებერვალში, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი გზავნის ამხ. ვ. მ. ბაქრაძეს საბჭოთა სამეურნეო დარგში სამუშაოდ. აქ ის ხელმძღვანელობს დიდი პოლიტიკური ბანდის ლიკვიდაციას.

კლასობრივი მტრებისადმი რკინისებური შეურიგებლობით, სიმამაცით და თავდადებით შეუდგა ამხანაგი ბაქრაძე ამ საპასუხისმგებლო დავალების შესრულებას.

შემდგომ, 1924 წელს, მუხრანის პარტრაიკომის მდივნად ყოფნისას, ამხ. ვ. მ. ბაქრაძე სათავეში უდგა სამეურნეო მენშევიკური ავანტიურისტების ორგანიზაციის ლიკვიდაციასთან და უშუალოდ ხელმძღვანელობს ჩოლოყაშვილის და სხვ. ბანდიტური კონტრრევოლუციური ბრბოების განადგურებას.

1924 წლის დამლევს ამხ. ვ. მ. ბაქრაძე მიდის მოსკოვში სამხედრო პარტიულ მუშაკთა კურსებზე და საქართველოში დაბრუნების შემდეგ განაგრძობს მუშაობას ბაზალეთის სარაიონო და დუშეთის სამაზრო პარტიულ ორგანიზაციებში. 1926 წლის დამლევს ამხ. ბაქრაძეს არჩევენ საქართველოს კ. პ. (ბ) დუშეთის სამაზრო კომიტეტის მდივნად.

1928 წელს ამხ. ბაქრაძე საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქტორია სოფლად მუშაობის დარგში. ამ სამუშაოზე ის იმყოფება 1929 წლის აგვისტომდე. ხოლო შემდეგ 1930 წლამდე მუშაობს საქართველოს კ. პ. (ბ) კახეთის საოლქო კომიტეტის მდივნად.

1931 წლის აგვისტოში ამხ. ბაქრაძე გაეგზავნა მოსკოვში მარქსიზმ-ლენინიზმის კურსებზე და ორი წლის შემდეგ გადაყვანილ იქნა პარტიის ისტორიის ინსტიტუტში.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით ამხ. ბაქრაძე გამოძახებულ იქნა სწავლიდან და გამოგზავნა სამუშაოდ საქართველოში, სადაც მუშაობდა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო-მასობრივი განყოფილების გამგედ.

1934 წლის იანვარში ამხ. ბაქრაძე დამტკიცებულ იქნა საქართველოს მიწსახკომის მტს-ების პოლიტსექტორის უფროსად. 1934 წლის ივნისში მას ირჩევენ თბილისის საბჭოს თავმჯდომარედ და 1934 წლის ნოემბერში—საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნად.

1926 წლიდან ამხ. ბაქრაძე საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრია. ხოლო 1932 წლიდან—საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ-ის ბიუროს წევრი.

საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დად გენილებით ამხ. ვალერიან მინას-ძე ბაქრაძე 1937 წლის 9 იელის ინიშნება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარედ.

პარტიულ სამუშაოზე კონკრეტულ საქმეებში ამხ. ვ. ბაქრაძე იჩენს თავდადებულ ერთგულებას ხალხის საქმისადმი, **ლენინ-სტალინის** პარტიის საქმისადმი.

პირველად თბილისის თამბაქოს ფაბრიკის მუშებმა წამოაყენეს ამხ. ვ. მ. ბაქრაძის კანდიდატურა კავშირის საბჭოს დიპუტატობისათვის თბილისის — სტალინის საარჩევნო ოლქიდან და მიმართეს მას თხოვნით დათანხმდეს კენჭი იყაროს მათს ოლქში.

შემდეგ ამხ. ბაქრაძის კანდიდატურა წამოაყენა უპარტიო მუშაკრუგლიკომა **„წყალტუბშენის“** მუშათა. ინჟინერ-ტექნიკოს მუშაკთა და მოსამსახურეთა წინასაარჩევნო კრებაზე.

— ჩვენ ვიცნობთ იმათ, ვინც უსაზღვროდ ერთგულია **ლენინ-სტალინის** პარტიის საქმისა, მშრომელთა საქმისა,—ლაპარაკობდა მუშა კრუგლიკოვი, მიმართავდა რა კრებას.—მე წინადადებას ვიძლევი კავშირის საბჭოს დიპუტატობის კანდიდატად წამოვაყენოთ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ვ. მ. ბაქრაძე.

ამხ. ვ. მ. ბაქრაძის კანდიდატურა გატარებულია რეგისტრაციაში კავშირის საბჭოს არჩევნების ქუთაისის საარჩევნო ოლქში.

ამხანაგ ვ. მ. ბაქრაძის სახელი ახლობელი და ძვირფასია ქართველი ხალხისათვის.

ხშირ მისვლა-მოსვლა რა მას, ქუთაისის საარჩევნო ოლქის ამომრჩევლები სსრ კავშირის უზენაეს საბჭოში გაგზავნიან პარტიის ღირსეულ შვილს, ნაცად ბოლშევიკს, სახელმწიფო მოღვაწეს.

ერთიანი საარჩევნო ბლოკი

ერაყლი ბაქრაძე

ვოწინავე საარჩევნო უბანი

უზენაესი საბჭოს არჩევნების წარმატებით ჩატარების საკითხი საარჩევნო უბანში სწყდება. ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საარჩევნო უბნის ყოველმხრივ მომზადებას არჩევნებისათვის.

ქუთაურის რაიონის ბევრ საარჩევნო უბანში ეს ვეშმარიტება შეიგნეს და საარჩევნო უბნების მოსამზადებლად არჩევნებისათვის ენერგიული მუშაობა გაშალეს.

მაგალითისათვის ავიღოთ რგანის საარჩევნო უბანი, რომლის მუშაობა დამახასიათებელია რაიონში არსებული საარჩევნო უბნების უმრავლესობისათვის.

რგანის სასოფლო საბჭოში, სადაც ორი ათასი მცხოვრებია, შექმნილია ერთი საარჩევნო უბანი. ამომრჩეველთა სიების შესადგენად გამოყოფილ იქნენ საუკეთესო, უნარიანი ინსტრუქტორ-აღრიცხველები, რომლებსაც ამომრჩეველთა აღრიცხვის დაწყებამდე გაეწიათ დაწვრილებითი ინსტრუქტაჟი ამომრჩეველთა სიების შედგენის ტექნიკის შესახებ.

ამან უზრუნველჰყო ამომრჩეველთა სიების ზუსტად და უშეცდომოდ შედგენა; შემოწმებამ გვიჩვენა, რომ სიებში არ ყოფილა გამორჩენილი ან დამახინჯებული არცერთი ამომრჩეველის გვარი.

საარჩევნო უბნის ცენტრად მიჩნეულია რგანის არასრული საშუალო სკოლის შენობა, სადაც არჩევნების ჩასატარებლად გამოყოფილია 5 ოთახი. ამ ოთახებიდან ერთი დიდი ოთახი დანიშნულია ამომრჩევლთა მოსაცდელ ოთახად, ერთი—დედათა და ბავშვთათვის; ამ ოთახში იქნება ყველაფერი იმისათვის, რომ ქალები და მათი პატარა შვილები არჩევნების დღეს არ შეწუხდნენ, დაისვენონ და გაეცინონ. მესამე ოთახში იქნება საარჩევნო კომისიის მდივანი, რომელიც ამომრჩევლებს მისცემს ბიულეტენებსა და კონვერტებს. მეოთხე ოთახი გამოყოფილია კენჭის საყრელად. ეს ოთახი ტიხრებით დაყოფილია ექვს ნაწილად, თითოეულ ნაწილში დადგმულია ერთი პატარა მაგიდა და ორი სკამი.

ამ ოთახიდან ამომრჩეველი გადადის მეხუთე ოთახში, სადაც მოთავსებული იქნება საუბნო საარჩევნო კომისია და ყუთი ბიულეტენის ჩასაგდებად.

ბინა საუბნო უზრუნველყოფილია გათბობით, განათებით, წყლით და საჭირო ინვენტარით.

საუბნო საარჩევნო კომისიამ და სასოფლო საბჭომ გაითვალისწინეს, რომ საარჩევნო უბნის ცენტრიდან დაშორებით მცხოვრებ ინვალიდებს, მოხუცებსა და პატარა ბავშვიან ქალებს გაუმჯობესებათ არჩევნების დღეს საარჩევნო უბნის ცენტრში გამოცხადება და მათ გადმოსაყვან-გადასაყვანად უკვე მოამზადეს ურემები და მძრაობები. ასე, მაგალითად, ტატუნაშვილების კუთხეში აღრიცხველ მოხუცება და ინვალიდები და გამოირკვა, რომ მათი გადმოსაყვანად საჭიროა ხუთი ურემი, ხოლო თუ არჩევნების დღეს თოვლი იქნა—ხუთი მარხილი. ურემებისა და მარხილების ეს რაოდენობა უკვე გამონახულია ადგილობრივ.

ყუზენაესი საბჭოს არჩევნებისათვის პრაქტიკულ მზადებასთან ერთად საარჩევნო უბანში გაცხოველებით მიმდინარეობს საავტაცია-საპროპაგანდო და ახსნა-განმარტებითი მუშაობა. უბანში მცხოვრებ 826 ამომრჩეველიდან 750 კაცი ჩაბმულია დებულების შემსწავლელ წრეებში და სისტემატურად მეცადინეობს, ხოლო ისეთ ამომრჩევლებზე რომლებსაც რაიმე მიზეზით არ შეუძლიათ წრეებში სარულა, მიმაგრებული არიან მასწავლებლები და დებულების სახლში ასწავლიან.

დებულების შემსწავლელ წრეებში საუკეთესოდ მუშაობენ ამხ. ელ. ხელდელაძე, სერ. კავთელაძე, ქეთო ჭარხლაშვილი, გუგუნა ხვედელაძე, ლ. გაგნიძე და სხვ.

სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნები მოახლოვდა. კიდევ უფრო უნდა გავაძლიეროთ როგორც საორგანიზაციო - ტექნიკური, ისე საავტაციო ახსნა-განმარტებითი მუშაობა საარჩევნო უბნებში.

ჯ. ნარინი

კავშირის საბჭოს არჩევნების თბილისის სასოფლო საარჩევნო ოლქის № 511 საოლქო საარჩევნო კომისიამ კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარა ამხანაგი

შალვა ნიკოლოზის-ძე ღადიანი

სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს კავშირის საბჭოს არჩევნების თბილისის სასოფლო საარჩევნო ოლქის № 511 საოლქო საარჩევნო კომისიამ განიხილა რა შემოსული დოკუმენტები სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატურათა წამოყენების შესახებ და დაადასტურა რა, რომ წარმოდგენილი დოკუმენტები სავსებით შეესაბამებიან „სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულების“ 56, 57,58,59,60 და 61 მუხლებს, დაადგინა:

„სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულების“ მე-60 მუხლის საფუძველზე გატარებულ იქნას რეგისტრაციაში ეროვნებათა საბჭოში კენჭისსაყრელად თბილისის საქალაქო საარჩევნო ოლქში № 119 ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად სერგო მარტინის-ძე ი შხანოვის, დაბადებული 1904 წელს, სა. კ. პ. (ბ) წევრი, საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკთა) თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიკომის პირველი მდივანი, მცხოვრები ქალაქ თბილისში ლერმონტოვის ქუჩაზე № 11, წამოყენებული № 1 და № 2 ტყავის ქარხნების, № 2 ფეხსაცმელის ფაბრიკის, № 2 სამკერავლო ფაბრიკის, ძველის საბოლო სახელობის კოლმეურნეობის, ტაბახმელის ბიოკომბინატის მუშათა, მოსამსახურეთა, ინჟინერ-ტექნიკოს მუშაკთა, კოლმეურნეთა, სამედიცინო-ვეტერინარული მუშაკთა საერთო კრებების მიერ, რომლებსაც დაესწრო 1.819 კაცი.

„სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულების“ მე-66 მუხლის საფუძველზე. შეტანილ იქნას ამხ. სერგო მარტინის-ძე ი შხანოვის კანდიდატურა საარჩევნო ბიულეტენში თბილისის საქალაქო საარჩევნო ოლქში № 119.

„სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულების“ მე-65 მუხლის შესაბამისად დადგენილება გამოქვეყნდეს საყოველთაო ცნობისათვის.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე—**ზაზაზაძე.**

თავმჯდომარის მოადგილე — **ბუთხუზი.**

მდივანი — **მელქაშვილი.**

კომისიის წევრები: **გალუსტოვი, ბაგიროვა, დათიკაშვილი, მესტვერიშვილი, აბრამიშვილი.**

კავშირის საბჭოს არჩევნების თბილისის სასოფლო საარჩევნო ოლქის № 511 საოლქო საარჩევნო კომისიამ კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარა ამხანაგი

შალვა ნიკოლოზის-ძე ღადიანი

სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს კავშირის საბჭოს არჩევნების თბილისის სასოფლო საარჩევნო ოლქის № 511 საოლქო საარჩევნო კომისიამ განიხილა რა შემოსული დოკუმენტები სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატურათა წამოყენების შესახებ და დაადასტურა რა, რომ წარმოდგენილი დოკუმენტები სავსებით შეესაბამებიან „სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულების“ 56, 57,58,59,60 და 61 მუხლებს, დაადგინა:

„სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულების“ მე-60 მუხლის საფუძველზე, გატარებულ იქნას რეგისტრაციაში სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ნიკოლოზის-ძე ვლადიმერის, დაბადებული 1893 წელს, ქალაქ კოჯრიდან, სამხედრო პირის ოჯახში. ბავშვობიდანვე მამას განზრახული ჰქონდა მისი სამხედრო პირად აღზრდა.

ნიკოლოზ ვლადიმერის-ძემ დაამთავრა ომსკის კადეტთა კორპუსი, ხოლო შემდეგ ალექსანდრეს სახელობის სასწავლებელი სწორედ მსროლელი იმპერიალისტური ომის დაწყების წინ.

მაგრამ უკვე ჰაბუკობიდანვე მის შეგნებაში იზრდებოდა კრიტიკული დამოკიდებულება რუსეთში არსებული თვითმპყრობელური წყობილების მიმართ.

ნ. ვ. კუბიბიშევის რევოლუციური განწყობილება ყალიბდებოდა მშობლების ლიბერალურ შეხედულებათა ზეგავლენით, და, უმთავრესად, მისი უფროსი ძმის—ძველი არალეგალური მუშაკის—ბოლშევიკის, პროფესიული რევოლუციონერის, **ლენინის და ტალინის** ხანდაზმი მოწაფის და თანამებრძოლის — ვალერიან ვლადიმრის-ძე კუბიბიშევის ზეგავლენით.

ადრეულმა კორპუსში და სამხედრო სასწავლებელში მღებარეობა ალბოდა, ხოლო შემდეგ ოფიცერთა წრე, ცხადია, აფერხებდა ნიკოლოზ ვლადიმერის-ძე კუბიბიშევის პოლიტიკური ზრდის, მისი რევოლუციური თვითშეგნების ზრდის პროცესს. საკმაო იყო მომხდარიყო 1917 წლის თებერვლის რევოლუცია, რომ მისი პოლიტიკური რწმენა საბოლოოდ ჩამოყალიბებულიყო როგორც რევოლუციური, ბოლშევიკური.

იმპერიალისტური ომის წლებს ნ. ვ. კუიბიშევი ატარებს ფრონტებზე. 1917 წლის თებერვალში იგი მტკიცედ და გადაჭრით მიდის რევოლუციამდე, დგას რა უკვე ბოლშევიკური პარტიის პოზიციებზე. **ლენინ-სტალინის** გმირული პარტიის რიგებში შესვლით ნ. ვ. კუიბიშევმა გააფორმა 1918 წლის იანვარში. იმავე წელს იგი დაინიშნა მუშურ-გლეხური წითელი არმიის უმაღლესი სამხედრო ინსპექციის წევრად და აქედან იწყება მისი საბრძოლო საქმიანობა მუშაობა წითელ არმიაში.

მეთაურობს რა მე-27 ბრიგადას, ხოლო შემდეგ მსროლელთა მე-9 დივიზიას, ნ. ვ. კუიბიშევი მონაწილეობას იღებს საბრძოლო ოპერაციებში დენიკინის, ვრანგელის არმიების, ულტიმის და ნაბოროვის მტრული დესანტების და, ბოლოს, საქართველოს მენშევიკების არმიის ლიკვიდაციისთვის.

სამოქალაქო ომში საბრძოლო დამსახურებათვის ნ. ვ. კუიბიშევი საბჭოთა მთავრობამ დააჯილდოვა წითელი დროშის ორი ორდენით.

ამ ორდენებიდან უკანასკნელი მას გადასცა სერგო ორჯონიკიძემ საბოთებში 1921 წელს მენშევიკების ბანდიტობის ლიკვიდაციის შემდეგ.

ნიკოლოზ ვლადიმერის-ძე კუიბიშევის სახელს კარგად იცნობენ საქართველოს მუშები და გლეხები, რომლებმაც 1921 წლის თებერვალში აღმართეს აჯანყების დროშა მენშევიკური ოცნების ბანდიტების წინააღმდეგ.

ამ გადამწყვეტი ბრძოლის დღეებში საქართველოს მშრომელებმა დიდი რუსი ხალხისაგან, სახელოვანი წითელი არმიისაგან მიიღეს ძმური დახმარება და მხარდაჭერა.

1921 წელს ნ. ვ. კუიბიშევი დაინიშნა კაგკასიის მე-2 კორპუსის უფროსად და კომისრად. 1922 წლიდან დაწყებული მას თანმიმდევრობით უკავია ყრიმ-შტატის ცხრე-სიმფეროპოლის უფროსის და კომისრის უმაღლესი ტაქტიკური—სსრკოლის სკოლის უფროსის და კომისრის, თურქესტანის ფრონტის ჯარების სარდლის თანაშემწის, მსროლელთა მეკორპუსის მეთაურის და კომისრის, მოსკოვის სამხედრო ოლქის ჯარების სარდლის თანაშემწის, ციმბირის სამხედრო ოლქის ჯარების სარდლის საპასუხისმგებლო პოსტები და 1930 წელს მუშურ-გლეხური წითელი არმიის მთავარი სამმართველოს უფროსის პოსტი.

1930 წლის დამლევს პარტია ამხანაგ კუიბიშევს გზავნის პარტიულ სამუშაოზე. 1931—1933 წლებში ნ. ვ. კუიბიშევი მუშაობს სკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ საკონტროლო კომისიაში სამხედრო ინსპექციის უფროსად.

პარტიის XVII ყრილობაზე ივ არჩევენ იქნა სკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომისიის წევრად, ხოლო 1935 წელს—პარტიული კონტროლის კომისიის ბიუროს წევრად.

1937 წლის იენისიდან ნიკოლოზ ვლადიმერის-ძე კუიბიშევი კვლავ გადადის სამხედრო სამუშაოზე და ინიშნება ამიერ-კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდლად და სამხედრო საბჭოს წევრად.

ამიერ-კავკასიის სამხედრო ოლქის შემადგენლობაში სამხედრო ოლქის საბჭოს ამიერ-კავკასიის სსრ ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის წინასაარჩევნო კრებამ ერთსმად წამოაყენა კავშირის საბჭოს დეპუტატად ამიერ-კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდლის, არმიის ბრძოლოს ნიკოლოზ ვლადიმერის-ძე კუიბიშევის ღირსეული კანდიდატურა.

ამხ. ნ. ვ. კუიბიშევის კანდიდატურა კავშირის საბჭოს დეპუტატობაზე წარმოადგენს ავრეთვე ბორჯომის საარჩევნო ოლქის ამომრჩევლის და საბჭოთა მეურნეობების მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა, კოლმეურნეობათა და სამხედრო ნაწილთა სიერთო კრებებმა.

ამხ. ნ. ვ. კუიბიშევის კანდიდატურა რეგისტრაციაში გაატარა ბორჯომის საოლქო საარჩევნო კომისიამ.

ამხ. ნ. ვ. კუიბიშევი—ენერგიული ღეპუტატი—ბოლშევიკი, ნაცადი მებრძოლი მეთაური—ორდენოსანი, სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს დეპუტატობის ღირსეული კანდიდატია.

ერთიანი საარჩევნო ბლოკი

ნიკოლოზ ვლადიმერის-ძე კუიბიშევი

ერთიანი საარჩევნო ბლოკი

ერთიანი საარჩევნო ბლოკი

ერთიანი საარჩევნო ბლოკი

გავაცნოთ უკლებლივ ყველა ამომრჩეველს კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატები

ვასილ ვლადიმერის-ძე სამხარაძე

პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელების მიერ საბჭოთა საქართველოს საუკეთესო ადამიანთა დელეგაციის მიღების დროს ჭიათურის მაღაროელმა მზგრეველმა ვასილ ვლადიმერის-ძე სამხარაძემ, მიმართა რა **ამხანაგ სტალინს**, თავის სიტყვაში სთქვა:

„ამჟამად, ამხანაგო სტალინ, თქვენ რომ ნახოთ, შეიძლება ვერც იცნოთ ჭიათურის მაღაროები. საფეიქრომ მანქანამ, ელექტრობურღებმა, ასაქცევმა ჩაქუჩებმა შესცვალეს წერაქვი და ნიჩაბი".

ამხ. სამხარაძემ, ახალგაზრდა ბუშმა, კარგად შეისწავლა პრაქტიკულად ახალი მძლავრი ტექნიკა, რომელმაც გარდაჰქმნა მარგანეცის მრეწველობა.

მან მხოლოდ ძველი მუშების ნაამბობიდან იცის, თუ რა კატორღას წარმოადგენდა კაპიტალისტების ბატონობის დროს ჭიათურის მარგანეცის მრეწველობა, როდესაც მუშები ხუთ-ექვსი წუალში დგებენ და განთიადიდან განთიადამდე მუშაობდენ ეჭსკლოატატორ კაპიტალისტთა სარგებლობად. იმავე ძველი მუშების ნაამბობიდან იცის ვასილ სამხარაძემ, თუ როგორ აღაგზებდა ამხანაგი **სტალინი** რევოლუციური ცეცხლით ჭიათურელ მაღაროელებს, ამხელდა და გმობდენ მენშევიკებს.

როდესაც მთელ საბჭოთა ქვეყანაში კიდით-კიდემდე გაისმა ალეპის სტახანოვის ასაქცევი ჩაქუჩის დატკაცუნა, უასილ ვლადიმერის-ძე სამხარაძემ პირველმა მრავალ ათას ჭიათურელ მაღაროელთა შორის გადასწუვიტა ეთვისებინა გამოჩენილი დონბასელი მაღაროელის მეთოდი. მალე მან მიაღწია იმას, რაზედაც ნებეზარი წლის შემდეგ ამაყად უამბობდა პარტიის და მთავრობის ხელმძღვანელებს:

„1935 წლის 14 ოქტომბერს ცვლაში ნორმით გათვალისწინებულ 9 ტონის ნაცვლად მე გამოვიგენარი 51 ტონა".

ოქტომბრის გეგმა მან შეასრულა 555 პროცენტით. 1936 წლის დასაწყისში ამხ. სამხარაძემ დაამყარა **ახალი რეკორდი, მოიპოვა რა 55 ტონა** მადან ცვლაში.

მძლავრმა სტახანოვურმა მოძრაობამ აამაძრავა მუშათა მასები და შეჰქმნა შრომის ნაყოფიერების ჯერ არნახული ღმობელობა. სტახანოვური მოძრაობის ტალღამ ხალხის მასების წიაღიდან წამოაბრწყინა ათობასობით ახალი, ჯერ არნახული, საბჭოთა ფორმაციის ადამიანები, რომელთაც წილად ხვდათ მძლავრი ბიძგი მეცადინეობით შრომის ნაყოფიერების შემდგომი ზრდისათვის.

ამხ. სამხარაძე ერთი იმათგანია, ვისაც კარგად ესმის ლენინის მითითება, რომ „შრომის ნაყოფიერება, ეს, საბოლოო ანგარიშით, ყველაზე მნიშვნელოვანია, ყველაზე მთავარია ახალი საზოგადოებრივი წყობილების გასამარჯვებლად".

კავკასიონის სახელობის მაღაროს მუშათა, ინჟინერთა და მოსამსახურეთა კრებამ კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოაყენა თავისი დირექტორი ამხ. სამხარაძე. ამ კრებაზე უპარტიო სტახანოველმა პლატონ ბოყოველმა ამხ. სამხარაძის დახასიათებას, როგორც მოწინავე სტახანოველი, შრომის ნიჭიერი ორგანიზატორი და საზოგადოებრივი მუშაკი. კრების ყველა მონაწილემ ერთხმად დაუჭირა მხარი ვასილ ვლადიმერის-ძე სამხარაძის კანდიდატურას.

კრებაზე მუშებმა გაიხსენეს მოკლე, მაგრამ ნათელი გზა, რომელიც გაიარა ჭიათურის რაიონის სოფელ წყალწითლის ღარიბი გლეხის შვილმა, გზა დაწყებულიდან და მზერეველიდან—მაღაროს დირექტორამდე.

ვასილ ვლადიმერის-ძე სამხარაძე დაიბადა 1911 წელს ღარიბი გლეხის ოჯახში. 8 წლის იყო, როდესაც მამა მოუკვდა. დედა მის დღე და ღამეს ასწორებდა, რათა როგორმე შეენახა ხუთი პატარა შვილი. სიბრალულ ქალმა დიდი გაჭირვებით მიაღწია ვასილის სასოფლო სკოლამდე. ეს იყო 1920 წელს, როდესაც საქართველოში მენშევიკები პარპაშებდნენ. გასაკვირველი არ არის, რომ უკვე სამი თვის შემდეგ ვასილ სამხარაძე სკოლიდან გარიცხეს სწავლის ფულის შეუტანლობისათვის. ვასილ სამხარაძე 4 წელიწადს მოკამაკაცებულ იყო კულაკ დევთძესთან სოფ. პეროვისაში.

1928 წელს 17 წლის სამხარაძე მივიდა პეროვისის სტალინის სახელობის მაღაროს სანგრევში და დამყრელი გახდა. მუშაობდა რა მაღაროში, მან მოახდინა დაყრისა და გაგორების რაციონალიზაცია, შეამჭიდროვა სამუშაო დღე, სწორად გაანაწილა მეჭანჭრეები და სამუშაო ძალა. მისი ინიციატივით სტახანოვური მოძრაობა ჭიათურის მაღაროებში სულ უფრო ფართოვდებოდა; იქ, სადაც წინათ 9—10 ტონა მადანს იღებდნენ, სტახანოველებმა, რომელთა რიცხვი სულ უფრო ფართოვდებოდა, დაიწყეს რამდენიმე ათეული ტონის ამოღება. სტალინის სახელობის მაღაროში მადნის ამოღების პრუდი მალე ვეღარ ეტეოდა და მთავრობამ დაადგინა ამხ. სამხარაძის, მუშაობა. იგი უძღვებოდა ჯერ დონბასის, ხოლო შემდეგ ქუთაისის ბრიგადას.

ათი წლისაც არ იყო ალეკი, როცა მან იგრძნო ლტოლვა სასცენო ხელოვნებისადმი. იგი მუდმივ მონაწილეობას იღებდა სამავშვო წარმოდგენებში. თავისთით ძალზე ბეტაცებული ამხანაგი ხორავა მონაწილეობას იღებდა სკენისმოყვარეთა წარმოდგენებში და უკვე იმ წლებში გამოსცადა საკუთარ თავზე, თუ როგორ ახშობდა ცარიზმი ქართული სათეატრო ხელოვნების ჩინარ ყლორტებს.

იგი ხედავდა, რა მძიმე, უუფლებო იყო მსახიობის ცხოვრება. ალეკი შეიჭრა ამ ცხოვრებაში მტკიცე გადწყვეტილებით ებრძოლა ნაფერი მომავლისათვის.

მან დაიწყო სამსახური ჯერ სენაკში, ხოლო შემდეგ 1919 წელს თბილისის ქალაქის თვითმმართველობაში. გასაკვირველი რადა დროშეს ღებულობდა და პაწაწინა თოახში ცხოვრობდა, მაგრამ მაინც განაგრძობდა სცენისმოყვარეთა წარმოდგენებში მჭიდრო მონაწილეობას მიღებას. ალეკი ხორავა გამოდიოდა ზუბალოვის სახელობის სახალხო სახლში, მუშაობდა შალვა დადიანის, ნიკო გოცირიძის ხელმძღვანელობით.

გულსტკივნეულით ხედავდა ახალგაზრდა მსახიობი, როგორ სავსებით ჩაკვდა მენშევიკების ბატონობის წლებში საქართველოს თეატრალური ცხოვრება, როგორ მიიყვანა თეატრი თვითლიკვიდაციის პირამდე ეედეთმა და უპრინციპობამ.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ მოუყარა თავი ქართული თეატრის საუკეთესო ძალებს.

ალეკი ხორავა მთელი თავისი არსებით შეუდგა საყვარელი ხელოვნების სამსახურს და როცა 1922 წლის 25 ნოემბერს კოტე მარჯანიშვილმა დასდგა ლაშე და ვეფხის პიესა „ცხრის ყურო", ამ დღემ დასაბამი მისცა არა მარტო რუსთაველის სახელობის თეატრის ისტორიას, არამედ საქართველოს საბჭოთა საეატრო ხელოვნების ისტორიასაც. ამ წარმოდგენამ გამოაცალკევა ქართული თეატრის შესანშნავნი ცხოველმყოფელი ძალები, იგი გადაქცა ქართველი მსახიობის ალეკი ხორავას ნამდვილ დღესასწაულად, საბჭოთა თეატრალური ახალგაზრდობის ტრიუმფად.

ამ დღიდან დაიწყო სასტიკი ბრძოლა დამყაყებულ, კონსერვატიულ ძველსა და მშვენიერ ახალს შორის ქართულ თეატრში. ალეკი ხორავა იყო ამ მშვენიერი ახლისათვის შეჭრილთა პირველ რიგებში, იგი იყო ერთერთი იმათგანი, ვინც პირველი ჩაღგა საბჭოთა მშრომელი ინტელიგენციის რიგებში.

ალეკი ხორავა არის ერთერთი ორგანიზატორი რუსთაველის სახელობის თეატრთან არსებული დრამატიული სტუდიისა, სადაღაც ქართული თეატრის ბევრი წამყვანი მსახიობი გამოვიდა.

ალეკი ხორავა არის პარტიისა და მთავრობისადმი ერთგული ბოლშევიკი ერთგული ადამიანთაგანი, რომელიც ამხილებდა ხალხის მტრების ძირგამომხრვრელ მუშაობას თეატრალურ ფრონტზე.

პარტიისა და მთავრობის ყოველდღიური ყურადღებით და მზრუნველობით გარემოსილი, ლენინის ორდენით დაჯილდოებული რუსთაველის სახელობის თეატრი გადაიქცა საბჭოთა საქართველოს ერთერთ საუკეთესო თეატრად, ალეკი ხორავა—მის წამყვან მსახიობად. ალეკი ხორავამ შეჰქმნა დაუვიწყარი სახეები: ანზორისა პიესა „ანზორში", გარსიასი „კარმენსიტაში", კარლოს მოორისა „ყაჩაღებში", კრეჩეტისა „პლატონ კრეჩეტში", არსენასი პიესა „არსენაში" და ოტელოსი.

1936 წლის 19 მარტს ალეკი ალექსის-ძე ხორავა, საქართველოს სახალხო არტისტი, იყო ქართველი ხალხის მოწინავე ადამიანთა შორის მღელვარე კრემლში, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების თხუთმეტ წლისთავთან დაკავშირებით.

თავის შესანშნავ ოსტატობას, თავის გამოცდილებას, თავის ცოდნას ალეკი ხორავა, დაჯილდოებული **შრომის წითელი დროშის ორდენით**, უზიარებს თეატრის ასობით ახალგაზრდა მუშაკებს. იგი არის რუსთაველის სახელობის თეატრთან არ სებული სტუდიის დირექტორი. ალეკის თეატრი, რომელიც წარმატებით მუშაობს ბათუმში, თითქმის მთლიანად ამ სტუდიიდან გამოსულ მსახიობებისაგან შესდგება. რამდენიმე თვის შემდეგ სტუდია გამოუშვებს კადრებს ფეხზეთის თეატრისათვის.

ამ დღეებში გეგეჭკორის რაიონის სოფ. ლეჩაინდარაის ფ. მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეთა და კოლმეურნე ქალთა საერთო კრებამ ერთხმად დაადგინა, წამოაყენოს სსრ კავშირის სახალხო არტისტის ალეკი ალექსის-ძე ხორავას კანდიდატურა ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობაზე და მიმართა მას თხოვნით, დასთანხმდეს და კენჭი იყაროს გეგეჭკორის საარჩევნო ოლქში. ალეკი ალექსის-ძე ხორავას სახელზე ანაღოგიური თხოვნები მიღებულია გეგეჭკორის რაიონის სოფლის ხუნწის კოლმეურნეებისაგან, იმავე რაიონის ვორონცოვის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეთა საერთო კრებისაგან, წალენჯიხის რაიონის სოფელ საჩინოს ბერიას სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეთა კრებისაგან.

მშრომელი მასების ნდობით ალბურებული, ალეკი ალექსის-ძე ხორავა სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს დეპუტატობის ღირსეული კანდიდატია.



აკაკი ალექსის-ძე ხორავა

ანდრო ვასილის-ძე წიკლაური

თბილისის დეპოს მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა კრებაზე პირველი სიტყვა აიღო ამხ. ხოშტრიამა.

— ჩემი წინადადებაა, — განაცხადა მან, —ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დავასახელოთ სტახანოვური - კრივონოსული მომრაობის ინიციატორი ამიერ-კავკასიის რკინიგზის ტრანსპორტის ახალგაზრდობას.

ეს წინადადება მთელი კრების დიდი აღტაცებითა და ტაშის გრიალით შეეგება.

— ამიერ-კავკასიის ტრანსპორტის სახელოვნებმა ადამიანმა ანდრო წიკლაურმა, — ამბობს ძველი მუშა, კომუნისტი ვასილ მახანაშვილი, — არაერთხელ დაგვმტკიცა, რომ მისი სიტყვა და საქმე ერთია, რომ ის სულითა და გულით ერთგულად ემსახურება სოციალიზმის მშენებლობას. ამიტომ ის ღირსია უზენაესი საბჭოს დეპუტატობისა.

— უზენაეს საბჭოში უნდა ავირჩიოთ სოციალიზმის საქმისთვის თავდადებული ადამიანები. ასეთ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის ამხანაგი ანდრო წიკლაური. მე მხარს ვუჭერ ამ. წიკლაურის წამოყენებას! ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად, — განაცხადა კომკავშირელმა ინჟინერმა თამარ გაგნიძემ.

ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამხანაგ წიკლაურის დასახელებას ასეთივე აღფრთოვანებით მიეხალმნენ ამხ. ჩაფროვი, ბერა შვილი, მაყაროშვილი და სხვ.

ვინ არის ანდრო წიკლაური და რით დაიმსახურა მან ასეთი დიდი ავტორიტეტი, ნდობა და სიყვარული?

ანდრო წიკლაურს მეფისა და შემდეგ **მუბადრუკ მენშევიკთა ბატონობის დროს უმძიმეს პირობებში** უხდებოდა ცხოვრება.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მისთვის ცხოვრება სიხარულად გადაიქცა, მკლავში ძალა მოემატა და გული იმედით აევსო.

იგი გაათკეცებული ენერგიით ჩაება სოციალიზმის მშენებლობის დიად საქმეში და თავდადებული შრომით გახდა ჩვენი მხარის სახელოვანი ადამიანი. არა მარტო საქართველოს რესპუბლიკაში, არამედ ამიერ-კავკასიის რკინიგზის მთელ ხაზზე იცნობენ და სიყვარულით ახსენებენ კრივონოსულ ორდენოსან მემანქანეს ანდრო წიკლაურს, რომლის ორთქლმავალსაც მეერი ასეული ათასი კილომეტრი სწრაფად, უავარიოდ და ურემონტოდ გაუვლია ბენია.

ანდრო წიკლაური ის მემანქანეა, რომელსაც გულდაჯერებით ანდობენ ასეულ მგზავრთა სიცოცხლეს და დიდი ტვირთების გადაზიდვას. იგი ყოველ წუთს ფხიზლად დგას თავის სავუშგიზე. მის გამჭრიახ თვალს და სწრაფ მოსაზრებას მრავალჯერ გადაურჩენია მატარებლები კატასტროფისაგან.

1933 წელს მან დამსხვრევას გადაარჩინა მატარებელი, რომელსაც დაკეცებულ ხაზზე ელებდნენ. იმავე წელს ორი სამგზავრო მატარებელი გადაარჩინა კატასტროფას და ამით სიკვდილს შეეწირა მრავალი ათეული მშრომელი.

რაც უფრო დიდია მატარებლის სიჩქარე, რაც უფრო ბნელია ღამე, მით უფრო მახვილია კრივონოსელი მემანქანის თვალი, მით უფრო მტკიცეა მართავს მისი ხელი ორთქლმავლის რეგულატორის სახელურს.

სწორედ ასეთ სიბნელეში, 1935 წელს ძეგამ-კოვლიარის გადასარბენზე წიკლაურმა კატასტროფას გადაარჩინა მოსკოვის ჩქარი მატარებელი № 2.

წიკლაური თავისი მოჭმედებით რევოლუციური სიფხიზლის საუკეთესო მაგალითს აძლევს მთელ რკინიგზის ტრანსპორტის ახალგაზრდობას.

ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ანდრო წიკლაური ალიარეს ყველა ამხანაგებმა, ვინც მას იცნობს.

ანდრო წიკლაური ის ადამიანია, რომელიც ყოველთვის ამხანაგურად ეხმარება ახალგაზრდა მემანქანეებს, ასწავლის მათ ოსტატობას, ზრდის მათში ახალ ადამიანებ

ესპანეთის ფრონტებზე

ცენტრალური ფრონტი

ჰავასის სააგენტოს ცნობით, რესპუბლიკელთა არტილერიამ ყუმბარები დაუშინა შეამბოხეთა პოზიციებს ლეოს გორაკის მახლობლად. მეამბოხეთა რამდენიმე ბატარეიდან სმაგრე მოსპობილია. მეამბოხეების დიდი ზარალი მოუვიდათ. მეამბოხეთა ერთმა რესპუბლიკელთა პოზიციებზე სერო რობიში რესპუბლიკელებმა ენერგიული მოიგერიეს.

აღმოსავლეთის (არაგონის) ფრონტი

ესპანეთის ნაციონალური თავდაცვის სამინისტროს ცნობით, მეამბოხეებმა იერიში მიიტანეს რესპუბლიკელთა პოზიციებზე სუერას სექტორში. იერიში მოგერიებულ იქნა. მეამბოხეებს დიდი ზარალი მოუვიდათ.

სამხრეთის ფრონტი

ანდალუზიის ფრონტზე რესპუბლიკელთა ჯარებმა წინ წაიწიეს სამი კილომეტრით მეამბოხეთა ტერიტორიის შეაგულისაკენ პოზისნის რაიონში და ხელთ იგდეს მარცვლეულის საწყობები.

o

ესპანის სააგენტოს ცნობით, რესპუბლიკელთა აოტალეოამ 12 ნოემბერს წარმატებით დაუშინა ყუმბარები ტერუელს, კალატაიუდსა და მოლინა დე არაგონს, სადაც მეამბოხეებმა თავი მოუყარეს ჯარებს და საჭურველს. კალატაიუდში დიდი ხანძრები გაჩნდა.

ესპანის სააგენტოს ცნობით, 13 ნოემბერს მეამბოხეთა საჰაერო ძალებმა ბარსელონასა და ტარაგონაზე თვითმფრინავების ორი ესკადრილია ცდილობდა მოეხდინა თავდასხმა ბარსელონასა და ტარაგონაზე. რესპუბლიკელთა საზენიტო ბატარეებმა მათ ძლიერი სროლა აუტეხეს.

12 ნოემბერს დილით რესპუბლიკელთა ავიაგმანამდგურებლებმა უყუაქციეს ფაშისტთა 12 თვითმფრინავი, რომელნიც ლერიდას უახლოვდებოდნენ.

ასანია ჩავიდა მადრიდს

პარიზი, 14 ნოემბერი (საქდესი). ჰავასის სააგენტოს ცნობით, 12 ნოემბერს საღამოს მადრიდს ჩაეიდა ესპანეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ასანია მთავრობის მეთაურის ნეგრინისა და მინისტრების ხელმძღვანელის და პრეზიდენტი ასანია მთავრობის მეთაურის და პრეზიდენტმა და მინისტრებმა. გენერალების მიიახსა და როზოს თანხლებით. ინახულეს ფრონტი სიერაში. 13 ნოემბერს პრეზიდენტმა და მინისტრებმა ინახულეს ჰოსპიტალი მეამბოხეთა ყუმბარით ჩამონგრეული. ასანია ეწვია აგრეთვე მადრიდის მუნიციპალიტეტს. სადაც წარმოსთქვა სიტყვა. რომელიც რადიოთი გადასცეს, თავის სიტყვაში პრეზიდენტმა აღნიშნა მადრიდელების გმირობა და ქებით მოიხსენია რესპუბლიკელი არმია, რომელსაც შესწევს უნარი კიდევ უფრო მეტი გმირობა გამოიჩინოს ფაშისტ ინტერვენტებთან ბრძოლაში.

თბილისის №-14 სკოლის სწავლის ფრაგმენტები: ხედან — ნუნუ მაჭავარიანი და ეთერ ქარხანაძე: დღანან: რუსიკო გოგოლაური და გაბო ლეკიაშვილი. ფოტო ბუდეშტესის („სოიუზფოტოს" სპ. განყ.).

აფხაზური სიმღერისა და ცეკვის საღამო

აფხაზეთის სახელმწიფო ეთნოგრაფიულმა გუნდმა ალ. ფაჩკულიას ხელმძღვანელობით 13 ნოემბერს ოპერის თეატრში გამართა კონცერტი. გუნდი ხალხური სიმღერისა და ცეკვის ოლიმპიადაზე წარმატების გამო. იგი საერთოდ კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს, საგუნდო კულტურა მასში საკმაოდ სჩანს.

მაგრამ რეპერტუარის მხრივ გუნდი, სამწუხაროდ, ვერ ამართლებს თავის დანიშნულებას. ბევრად უმჯობესი იქნებოდა, რომ გუნდი უმთავრესად აფხაზურ სიმღერებსა და ცეკვებს ასრულებდეს. აფხაზური მუსიკალური ფოლკლორი და ქორეოგრაფია საკმაოდ მდიდარია და მას მეტი ყურადღება სჭირდება. გუნდიც უფრო ძლიერი და კარგია მაშინ, როცა ის აფხაზურ სიმღერებსა და ცეკვებს ასრულებს.

რა თქმა უნდა, არცერთ გუნდს არ ეკრძალება სხვა კუთხისა და მხარის სიმღერებისა და ცეკვების შესრულება, მაგრამ ყოველმა გუნდმა ყურადღება მაინც თავისი კუთხის სიმღერებსა და ცეკვებზე უნდა გაამახვილოს. ეს ყველაზე უფრო აფხაზეთის ეთნოგრაფიულ გუნდს მოეთხოვება.

ამ კონცერტზე შესრულებულ ცეკვა მრავალი გურული და მეგრული სიმღერა. ქართულ-კახეთიც არ დასტოვა გუნდმა ყურადღებოდ და ფანდურზე შეასრულა ორი სიმღერა; სიმღერები კარგად სრულდება, მაგრამ ზოგი მათგანი გადაჭარბებულია, ხალხურობას დაშორებულ. ეს არ ვარგა.

კარგი იყო ჩონგურზე შესრულებული მეგრული სიმღერები, განსაკუთრებით სიმღერა „სტალინური კონსტიტუცია".

ყველაზე საინტერესო ამ კონცერტზე იყო „აფხაზეთზე" (აფხაზური სკრაცია) შესრულებული . სიმღერები. აქ აღელვებლად ისმენდნა ხალხურობა.

გუნდმა შეასრულა მეგრული „ნადირობის" ორი ვარიანტი; ჩვენ ვფიქრობთ, რომ არცერთი ვარიანტი ნამდვილი ხალხური არ ყოფილა იყოს. ოლიმპიადაზე ჩვენ მოვისმინეთ მეგრული „ნადირი" ხმოროწყეს და აბაშის გუნდების შესრულებით. ორივე გუნდმა „ნადირი" სწორად შეასრულა.

გუნდი მდიდარია მოცეკვავე ქალ-ვაჟებით. მეგრული ფერხული კარგად შეასრულეს. ინდივიდუალური ცეკვებიც კარგია; ოსტატურად ცეკვავენ: აჩბა, ოგრბა, გაზერდავა, ლაზბა, კარტბოია, გოლდია და სხვები. მაგრამ ამასვე ვერ ვიტყვით მასობრივ ცეკვებზე, ხალხი ასეთ მასობრივ ცეკვებს იშვიათად ასრულებს. გარდა ამისა, სამიეი მასობრივი ცეკვა, რაც ყოველი განყოფილების ბოლოს სრულდებოდა, ძალიან ჰგავს ერთიმეორეს.

ლ. გ.

ახალი ელექტროსადგურები

უკანასკნელი წლების მანძილზე საქართველოს სს რესპუბლიკაში განსაკუთრებით ფართოდ გაიშალა ახალი სასოფლო ელექტროსადგურების მშენებლობა. რესპუბლიკის ბევრ რაიონში აშენდა და შენდება ახალი ელექტროსადგურები.

მათგანი ელექტროსადგურები დაიწყეს მიმდინარე წლის დამლევს.

დამთავრდა ელექტროსადგურების მშენებლობა სადახლოში (ბოთრაულის რაიონი), სოფელ დაშთიულარში (ლუჭუმბურის რაიონი), სოფელ ბახვში (ბახვაძის რაიონი) და სხვ.

შენდება კიდევ რამდენიმე სასოფლო ჰიდროელექტროსადგური, რომლებიც უნდა ამთავრდეს წლის დამლევს. შენდება ჰიდროელექტროსადგურები ორკონიკის რაიონში (სოფ. ლორავში), ბორჩალოს რაიონში (სოფ. დვირი), მახარაძის რაიონში (სოფ. ლიხაური), გაგრის რაიონში (სოფ. არმო), წულუკიძის რაიონში (სოფ. ოკაცა) და სხვ.

1938 წლისათვის განზრახულია სასოფლო ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა გორის, ონის, მახარაძის, წალენჯიხისა და ბოგდანოვკის რაიონებში (საქდესი).

აკოკ აკოკიანის ხსოვნას

გუშინ „კომკავშირელის" რედაქციამ ერევნიდან, სომხეთის საბჭოთა მწერალთა კავშირისაგან მიიღო შემდეგი შინაარსის დეპეშა:

„სომხეთის საბჭოთა მწერალთა კავშირის გამგეობა გამოსთქვამს თავის ღრმა მწუხარებას სომხეთის პროლეტარული ლიტერატურის ფუძემდებლის და ამიერ-კავკასიის სახალხო პოეტის აკოკ აკოკიანის ადრდაცვლების გამო".

ხელოვნება

„კავკა კორგაგინა"

ოქტომბრის დიდი რევოლუციის 20 წლისთავს ეზიარა მთელი მაყურებელთა ქართული თეატრიც. ამ ახალგაზრდა მაყურებელთა ერთ-ერთ საუკეთესო სამკვიდრო თეატრად გადაიქცა ბოლო წლებში ეს სცენა. ამ ბედნიერ ცვლილებაში დიდი წილი მიუძღვის ახალგაზრდა მსახიობთა ჯგუფს, რომელიც ამ თეატრში ჩამოყალიბდა.

ამ ჯგუფის ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოები — ნ. ოსტროვსკის „დედა" ინსცენირება (რომანი პიესად გადაკეთა დრამატურგმა ქალმა ე. პიღალინამ).

„დედა კორჩაგინა" ნ. ოსტროვსკის შესანიშნავი რომანის პირველი ნაწილის ინსცენირებას წარმოადგენს და მოგვითხრობს პაველ კორჩაგინის ახალგაზრდობაზე. მოუხედავად იმისა, რომ პიესაში იქნა დრამატურგიული ძალა ამოღებული ბევრი ეპიზოდი, ავტორმა მაინც შეძლო ეჩვენებინა ის ძირითადი ხაზები, რომელნიც ნათელ სურათად წარმოგვიდგენენ ნ. ოსტროვსკის ცნობილ რომანს.

პიესა გვიჩვენებს, თუ როგორ იქმნებოდნენ და სამკვლარო ომის პირობებში ჩამოყალიბდნენ კომპარტიის პარტიის ხელძღვანელობით მუშა - ახალგაზრდობის კომპარტიული კავშირის ორგანიზაციები.

„პაველ კორჩაგინის" დადგმის დროს მთელ მაყურებელთა თვალის წინაშე თანდათანობით ეხსნება რომანში მოთხრობილი ამბები, და მაყურებლად ეჩვენებინა მისი მომქმედი პირები. „ცხოვრებული ნუნუ ლეკიაშვილი, რომ თეატრის კოლექტივმა ეს რთული და პასუხისგები ამოცანა ღირსეულად გადაჭრა, ამაში ეჭვი არავის უნდა ეპარებოდეს.

რომანის მთავარი შინაარსი სპექტაკლში დაცულია. ნ. ოსტროვსკის მიერ ოსტატურად დახატულმა სახეებმა სცენაზე ხორცი შეისხეს და თვალნათლივ წარმოგვიდგნენ ის ძირითადი თვისებანი, რით ღირსეულიც ადენებენ მკითხველს ნ. ოსტროვსკის ცნობილ რომანში მოთხრობილი პირები.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ სპექტაკლის ინსცენირებისა და დადგმის დროს ავტორებმა და თეატრის ხელმძღვანელობამ ყველაფერი გააკეთეს, რომ ეს ნაწარმოები ჩვენი მაყურებლისათვის ახლობელი და ძვირფასი გაეხადათ. ამ მხრივ ისინი ბევრად წინ წავიდნენ ამ სეზონის დასაწყისში დადგმულ სპექტაკლებთან შედარებით.

ამ სპექტაკლის ერთ-ერთი ღირსეული მხარე ისაა, რომ ის ყველა მონაწილე ერთნაირად ცდილობს ნათლად გადმოსცეს ის ხასიათი, რომელიც მან ამ სპექტაკლში უნდა განასახიეროს. ამ მხრივ